Deloitte.



ღამის ეკონომიკის კვლევა

ღამის ეკონომიკის გლობალური პუბლიკაციების ნაწილი

შპს დელოიტი და ტუში, 2019, საქართველო

შპს დელოიტი და ტუში
ბიზნეს ცენტრი King David
მერაბ ალექსიძის ქ. 12
თბილისი, 0171, საქართველო

ტელ: +995 (32) 224 45 66
ფაქსი: +995 (32) 224 45 69
deloitte.ge

სტუარტ ლეიტონი

მმართველი პარტნიორი
ტელ:+995 591 44 05 15
stuartleighton@deloitte.ge

ძვირფასო მკითხველო,

აღნიშნული კვლევა მოიცავს ღამის ეკონომიკის შესწავლას, დადებითი და უარყოფითი მხარეების ანალიზს, მისი დანერგვის განვითარების და მართვის მეთოდიკას და საინტერესო პრაქტიკულ გამოცდილებას სხვადასხვა ქალაქის მაგალითზე.

მომზადებული ანგარიში არის დელოიტის შიდა პუბლიკაციების ნაწილი მომზადებული არაკომერციული მიზნებისთვის. კვლევის მთავარი მიზანია ღამის ეკონომიკის და ქალაქების სტრატეგიული განვითარების გლობალურ კვლევაში მონაწილეობის მიღება და დელოიტის გლობალურ ოფისებს შორის ცოდნის გაცვლა. მსგავს კვლევებს დელოიტი ახორციელებს პერიოდულად, ანგარიშები ხელმისაწვდომია დაინტერესებულ პირთათვის, მათ შორის სახელმწიფო სტრუქტურებისთვის და ბიზნეს პარტნიორთა წრისთვის.

ჩვენ მოხარულები ვართ რომ მონაწილეობას ვიღებთ მსგავს კვლევებში. შევისწავლით ღამის ეკონომიკის მნიშვნელობას მსოფლიოს ქალაქების მაგალითზე და ვაანალიზებთ ურთიერთკავშირებს ღამის ცხოვრების განვითარებასა და ქალაქის ეკონომიკური მდგრადობას შორის. ვიმედოვნებთ, რომ ეს კვლევა კონსულტანტებს და ექსპერტებს დაეხმარება სამომავლო კვლევების და პროექტების წარმატებით განხორციელებაში.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

სარჩევი

ღამის ეკონომიკის არსი და მისი მნიშვნელობა 4

ღამის და დღის ეკონომიკებს შორის მთავარი განსხვავება 5

ღამის ეკონომიკის სექტორები 6

ძირითადი გამოწვევები და განვითარების მიმართულებები 7

ღამის ეკონომიკის ეფექტი ქალაქის განვითარებაზე 8

კვლევის მეთოდოლოგია 9

წამყვანი ქალაქების პრაქტიკული გამოცდილება:

- ლონდონი 11
- სიდნეი/მელბურნი 12
- ვილნიუსი 13

ღამის ეკონომიკის სტრატეგია სამოქმედო გეგმა 14

ღამის ეკონომიკის არსი და მისი მნიშვნელობა

კანონმდებლობით რეგულირებული და სტრატეგიულად განვითარებული ღამის ეკონომიკა აუმჯობესებს ცხოვრების ხარისხს ქალაქის ყველა მაცხოვრებლისა და ვიზიტორისთვის

ღამის ეკონომიკა, როგორც დღის ეკონომიკა დიდ როლს თამაშობს ქალაქის განვითარებაში. ღამის ეკონომიკას სჭირდება სწორი დაგეგმვა, მართვის პოლიტიკის და სტრატეგიის შემუშავება. ღამის ეკონომიკის განვითარება დადებით გავლენას ახდენს ქალაქის ეკონომიკურ ზრდაზე, ისეთი სექტორების შემოსავლებზე როგორიც არის ტურიზმი, საცალო ვაჭრობა, გართობა და ლოჯისტიკა. ღამის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია გავითვალისწინოთ ისეთი კომპლექსური ასპექტები როგორიც არის ქალაქის გეგმარება, ინფრასტრუქტურა, ტრანსპორტირება, უსაფრთხოება, კულტურული თავისებურებები და დაინტერესებულ პირთა მხარდაჭერა.

ქალაქის ღამის ცხოვრება მჭიდრო კავშირშია კულტურულ და საზოგადოებრივ ცხოვრებასთან, ის ასოცირდება დასვენებასთან, დასაქმებასთან და თვით გამოხატვასთან. ღამის ეკონომიკა ქალაქის მცხოვრებლებისთვის ქმნის უფრო მეტ შესაძლებლობებს, როგორიცაა 24 საათიანი სავარჯიშო სპორტ დარბაზები, მაღაზიები, ბიბლიოთეკები, გვიანობამდე მომუშავე გამოფენები, კინოთეატრები, კლუბები და ა.შ.

ღამის ეკონომიკის მენეჯმენტი ათწლეულების განმავლობაში ვითარდებოდა მსოფლიოში. არსებობს მრავალი წარმატებული მაგალითი ღამის ეკონომიკის დადებით გავლენაზე ქალაქების განვითარებაში და ტურისტების მოზიდვაში. ღამის ეკონომიკას მართავს ღამის მერი ან შესაბამისად დანიშნული პირი რომელსაც ევალება მაცხოვრებლებისთვის და ტურისტებისთვის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, უსაფრთხოების შენარჩუნება და დივერსიფიცირებული ბიზნეს სერვისების წახალისება.

დღის და ღამის ეკონომიკა
შედარებითი ანალიზი

დღის ეკონომიკა

- ორგანიზებული
- უსაფრთხო
- რეგულირებული

- დაცულია ხმაურის შესახებ კანონი
- ხელმისაწვდომია ყველა სახის სერვისი
- საჯარო და კერძო ტრანსპორტი გადაადგილდება შეზღუდვის გარეშე

ღამის ეკონომიკა

- არაორგანიზებული
- ქაოტური
- ნაკლებ რეგულირებული
- ნაკლებ უსაფრთხო
- დაბალანაზღაურებადი

- ბიზნესსა და მაცხოვრებლებს შორის კონფლიქტი, მათ შორის ხმაურის რეგულაციის დაცვაზე
- სერვისების სიმწირე
- ტრანსპორტის შეზღუდული გადაადგილება
- ფასების სხვაობა დღის მონაკვეთთან შედარებით

განათება, ხმა და სოციალური აქტივობა საღამოს საათებში ქმნის ქალაქის უნიკალურ ატმოსფეროს, იზიდავს ახალგაზრდა და შემოქმედ ადამიანთა კლასს, რაც თავისთავად ხელს უწყობს ინოვაციების, ტურიზმის და კრეატიული ინდუსტრიის განვითარებას.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

ღამის ეკონომიკის სექტორები

ვაჭრობა

- ტანსაცმლის მაღაზიები
- სურსათის მაღაზიები
- აფთიაქები

კულტურა და ხელოვნება

- მუზეუმები
- საგამოფენო სივრცეები
- ბიბლიოთეკები
- კინოთეატრები
- მედიათეკები

კვების სექტორი

- ბარები
- რესტორნები
- კაფეები
- ლაუნჯები
- ქუჩის საკვები ობიექტები

გართობა და დასვენება

- კონცერტები
- საკლუბო სცენა
- კაზინოები და ტოტალიზატორები

სპორტი

- სავარჯიშო დარბაზები
- ღია სათამაშო მოედნები
- ფიტნეს კლუბები

ტრანსპორტი

- საჯარო ტრანსპორტი
- ტაქსის სერვისი

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

ძირითადი გამოწვევები და განვითარების მიმართულებები

ღამის ეკონომიკის რეგულაცია და მართვის მიზნით სტრუქტურების ჩამოყალიბება

- მმართველი ორგანოს ჩამოყალიბება
- სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავება
- რეგულაციების შემოღება(მაგ. ხმაურის კონტროლზე, ალკოჰოლური სასმელებით ვაჭრობის შემთხვევაში ლიცენზირებაზე და ა.შ)

უსაფრთხოება

- კოდექსებთან და პოლიტიკასთან შესაბამისობის კონტროლი
- საზოგადოებრივი უსაფრთხოების უზრუნველყოფა
- მოსახლეობასა და ბიზნეს შორის მშვიდობიანი თანაარსებობის მიღწევა

ტრანსპორტის ხელმისაწვდომობა 24/7

- საჯარო ტრანსპორტის მომსახურების დროის გახანგრძლივება
- ზოგიერთი სატრანსპორტო საშუალების (მაგ. მეტრო) 24 საათიან სამუშაო რეჟიმზე გადასვლა

ქალაქის დიზაინის მოდიფიცირება

- განათებების დამატება
- ქუჩების კეთილმოწყობა, ფეხით მოსიარულეთა წასახალისებლად
- ტურისტული მარშრუტების დაგეგმვა და ტრანსპორტის დანიშვნა

დასუფთავება

- დასუფთავების სამსახურის სმენის გაზრდა
- ნაგვის ურნების განთავსება ღამით აქტიურ ადგილებზე

გარეუბნების განვითარების მიზნით, ბიზნესის წახალისება

- ქალაქის ზონირება და პოტენციურად მიმზიდველი ადგილების აღმოჩენა
- საჯარო და კერძო სექტორების ერთობლივი ინიციატივები გარეუბნების განსავითარებლად

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

ღამის ეკონომიკის ეფექტი ქალაქის განვითარებაზე - ხარჯები და სარგებელი

ხარჯები

- საზოგადოებრივი ტრანსპორტის და საპარკინგო სივრცეების მოწესრიგება
- ქუჩების განათების მოწყობა და დიზაინი
- ნიშნების დამონტაჟება
- დასუფთავების სამსახურის სმენის გაზრდა და ახალი ურნების დამატება
- უსაფრთხო გადაადგილებისთვის მარშრუტების დაგეგმვა
- პატრულის და შესაბამისი სამსახურების გადამზადება და უსაფრთხოების გაძლიერებული დაცვა

სარგებელი

- ბიზნესის წახალისება, რესტორნების, კაფე-ბარების, სასტუმროების და სავაჭრო ცენტრების ასევე გასართობი დაწესებულებების განვითარება
- ადგილობრივი მეწარმეების ხელშეწყობა
- სამუშაო ადგილების ზრდა
- სოციალური აქტივობის გაზრდა
- კრეატიული სექტორის განვითარება
- კულტურული და სპორტული ღონისძიებების მატება
- გარეუბნების განვითარება
- ქალაქის შემოსავლების ზრდა
- ახალი ტურისტული სეგმენტების მოზიდვა

ღამის ეკონომიკის სტრატეგიის შემუშავების დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს ღამე მომუშავე ობიექტების კონტროლზე და რეგულაციაზე, ასევე მოხდეს ადამიანთა ქცევის ანალიზი, მათ შორის ალკოჰოლთან დაკავშირებული. კვლევებმა აჩვენა რომ ღამის ეკონომიკის განვითარებამ შეიძლება გაზარდოს პრობლემები დაკავშირებული:

- კანონთან და რეგულაციებთან,
- დანაგვიანებასთან,
- ალკოჰოლზე ორიენტირებული კულტურის წახალისებაზე

თუმცა, ძლიერ და ენერგიულ ღამის ეკონომიკას შეუძლია დიდი სარგებელის მოტანა ეკონომიკური, კულტურული და სოციალური კუთხით ქალაქისთვის. ეს გამოიხატება ახალი მაცხოვრებლების, სამუშაო ძალის და ტურისტების მოზიდვით განსაკუთრებით კრეატიული ინდუსტრიის მიმართულებით როგორიცაა, მოდა, მუსიკა, მედია და წარმოდგენები.

ღამის ეკონომიკა შეიძლება გახდეს წამყვანი ძალა ადგილობრივი ბიზნესისთვისაც, როგორიცაა კვების და სასმელი ობიექტები, ტრანსპორტი, საცალო ვაჭრობა და უსაფრთხოება.

ღამის ეკონომიკა დადებითად იმოქმედებს ქალაქის მაცხოვრებლების ჯანმრთელობაზე და კეთილდღეობაზე, შეუქმნის მათ შეხვედრის, ურთიერთობის, კვების და გართობის ადგილებზე წვდომას.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

კვლევის მეთოდოლოგია

ღამის ეკონომიკის კვლევის მეთოდოლოგია განსაზღვრავს ძირითად ინდიკატორებს და მათი ანალიზის ხერხებს. ქვემოთ მოცემულია ზოგადი მეთოდოლოგია რომელიც ასახავს კვლევის მთავარ ეტაპებს.

კვლევის მეთოდოლოგია:

1. ინფორმაციის მოძიება და ანალიზი
2. ქალაქის მცხოვრებლების და მათი სამუშაო პროფილის ანალიზი ქალაქის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით
3. არსებული ღამის ეკონომიკის აღწერა და ღირებულების დადგენა ქალაქის ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით
4. საერთაშორისო და საუკეთესო პრაქტიკის ღამის ეკონომიკის მიმოხილვა სტრატეგიის და ინოვაციის კუთხით
5. ადგილობრივი მაცხოვრებლების და სხვა დაინტერესებულ პირთა ჩართვა
6. ღამის ეკონომიკის განვითარების ძირითადი პრინციპების ჩამოყალიბება და რეკომენდაციების გაწერა თითოეული ადმინისტრაციული ერთეულისთვის

ანალიზი

ინფორმაციის შესწავლა:
- კვლევები
- სტრატეგიული დოკუმენტები
- კანონები და რეგულაციები

- დასაქმებული მაცხოვრებლების გამოკითხვა

ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით:
- კომპანიების რაოდენობა
- სერვისის სახეები
- თანამშრომელთა რაოდენობა და საშუალო ანაზღაურება

- არსებული ანგარიშების მოძიება
- ექსპერტებთან გასაუბრება

- დაინტერესებულ პირებთან პირისპირ შეხვედრები
- ონლაინ გამოკითხვები
- თვითმართველობების სხდომები

- ანგარიშის მომზადება

შედეგები

1. ძირითადი კვლევის ინდიკატორების განსაზღვრა
2. სამუშაო ძალის განაწილება ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით
3. არსებული ღამის ეკონომიკის ანალიზი
4. ღამის ეკონომიკის განვითარების წარმატებული მაგალითების შესწავლა
5. თითოეული ადმინისტრაციული რაიონის მიხედვით ღამის ეკონომიკის განვითარების პოტენციალი და შეზღუდვის ფაქტორების დადგენა და ანალიზი
6. საბოლოო ანგარიში

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

წამყვანი ქალაქების პრაქტიკული გამოცდილება

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

პრაქტიკული გამოცდილება 1/1
ლონდონი 24 საათიანი ეკონომიკა

მართვა და სტრატეგია

ლონდონის ღამის კომისია

კომისია ექვემდებარება ლონდონის მერს და მისი მთავარი მიზანია რეკომენდაციების შემუშავება ლონდონის ღამის ეკონომიკის გასავითარებლად.

ლონდონის ღამის მერი

მერის პირდაპირი მოვალეობაა ღამის ეკონომიკის მხარდაჭერა, უსაფრთხოება და მისი გაძლიერება.

ლონდონის 24 საათიანი ხედვა - სტრატეგიული დოკუმენტი

- კულტურული ღონისძიებების და დასვენების წახალისება ყველა ასაკისა და ინტერესის ადამიანისთვის;
- სამუშაო საათების გაზრდა;
- უსაფრთხოების უზრუნველყოფა ღამე მომუშავე პერსონალისთვის, მაცხოვრებლებისთვის და დამსვენებლებისთვის;

რეგულაცია და შეზღუდვები

რეგულაცია

- **24 საათიანი ლიცენზია** - კანონი ეხება დაწესებულებებს, რომლებიც ვაჭრობენ ალკოჰოლით ასევე ინდ. მეწარმეებს და მომწოდებლებს.
- **გვიანი საღამოს გადასახადი** - ნებაყოფლობითი გადასახადი რომელსაც ირჩევს ადმინისტრაციული რაიონის თვითმმართველი ორგანო და აკისრებს დამატებით გადასახადს ბარებს და ალკოჰოლით მოვაჭრე დაწესებულებებს.
- **ქალებისთვის ღამის უსაფრთხოების ქარტია -** მას იცავს ყველა ღამის ეკონომიკაში ჩართული ორგანიზაცია.

შეზღუდვები

- ალკოჰოლის გასაყიდი ობიექტების ლიცენზირება;
- დახურვის საათების შეზღუდვა;
- ფასების რეგულირება;

პრაქტიკული/შეძენილი გამოცდილება

1. **ეკონომიკის ზრდა**
2. **სერვისების დივერსიფიკაცია**
3. **უსაფრთხოების გაზრდა**

24 საათიანი მეტრო - 24 საათიანი მეტრო ემსახურება რამდენიმე სადგურს, დაგეგმილია სადგურების გაზრდა რათა უფრო მეტმა ადამიანმა შეძლოს მისი გამოყენება ღამით კომფორტულად გადაადგილებისთვის. 24 საათიან მეტროს დიდი ეფექტი ჰქონდა ღამის ეკონომიკაზე მოსალოდნელია რომ ეს მომსახურება 10 წლის განმავლობაში ლონდონის ეკონომიკას გაზრდის 1.5 ბილიონი ფუნტი სტერლინგით.

ფინანსური მაჩვენებლები
2001-2017 წლამდე ღამით დასაქმებულთა რაოდენობა ლონდონში გაიზარდა 41%-ით. ლონდონის 24 საათიანი კვლევის საფუძველზე ღამის ეკონომიკა გაიზრდება წლიურად 1.63 ბილიონი ფუნტი სტერლინგით ხოლო 2029 წლის შემდგომ 77 მილიონი ფუნტი სტერლინგით წლიურად.

პრაქტიკული გამოცდილება 1/2
სიდნეის ღამის ეკონომიკა

მართვა და სტრატეგია

ღამის ქალაქის მენეჯერი

მერის პირდაპირი მოვალეობაა ღამის ეკონომიკის განვითარება.

ღამის ეკონომიკის კომისიის საბჭო და კომუნიკაციის ჯგუფი

- ღამის ეკონომიკის მნიშვნელობის ცნობადობის ამაღლება;
- ღამის ეკონომიკის მართვის საუკეთესო პრაქტიკების ანალიზი და ინფორმაციის გავრცელება;
- ღამის ეკონომიკის ინიციატივების შემუშავება;
- ღამის ეკონომიკის ხელშემწყობი აქტივობების სახელმწიფო სტრუქტურებში ლობირება;

მრჩეველთა საბჭო -

საბჭოს მოვალეობაა მაცხოვრებლებთან და შემოქმედებითი სექტორის წარმომადგენლებთან ურთიერთობა. რჩევების და რეკომენდაციების მიცემა ბიზნესთან და სხვა სამთავრობო უწყებებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად, რათა ხელი შეუწყონ წარმატებულ, მრავალფეროვან და უსაფრთხო ღამის ცხოვრებას.

რეგულაცია და შეზღუდვები

რეგულაცია

რეგულაციები ხმაურთან, სასმელის ლიცენზირებასთან და შრომის უსაფრთხოებასთან დაკავშირებით ახალ სამხრეთ უელსში კვლავ ყველაზე დიდ დაბრკოლებად ითვლება.

- რეგულაცია, რომელიც ემსახურება ალკოჰოლის მოხმარების შემცირებას გულისხმობს სასმლის დაშვებას მხოლოდ ღამის 1:30-დან 3:00-მდე.
- **სხვადასხვა ალკოჰოლური სასმლის ლიცენზიები** (მაგ. პატარა ბარის ლიცენზია, ფესტივალის ლიცენზია და ა.შ) მეწარმეებს მიეცათ საშუალება მოახდინონ საჭირო ლიცენზიის კლასიფიცირება საკუთარი ბიზნესის მიხედვით.

პრაქტიკული/შეძენილი გამოცდილება

1. **ზოგიერთი სექტორის მკვეთრი განვითარება**
2. **დასაქმების გაზრდა**
3. **უსაფრთხოების გაზრდა**
4. **ქალაქის რეპუტაციის და იმიჯის გაუმჯობესება**

- **24-საათიანი ქალაქი** - 24 საათიანი ვაჭრობის დაშვება მთელ ქალაქში ამცირებს რიგებს, საცობებს და ხმაურს ცხელ წერტილებში.
- **ახალი ადგილები ახალი საზოგადოებისთვის** – ქალაქის ყველაზე სწრაფად მზარდ უბნებში იქმნება ახალი ადგილები, სადაც შესაძლებელია გვიან ღამით ვაჭრობა
- **სახელმწიფო დაფინანსება** - ღამით ახალი ბიზნესებისა და ღონისძიებების წასახალისებლად ქალაქი ცოცხალი მუსიკის და ღონისძიებების დივერსიფიცირებისთვის საგრანტო დაფინანსების საშუალებას იძლევა.
- **გახანგრძლივებული საათები არალიცენზირებული ბიზნესებისთვის** – წიგნისა და ტანსაცმლის მაღაზიებისთვის, სავარჯიშო დარბაზებისთვის, სალონებისთვის და ქიმწმენდებისთვის გახანგრძლივებული სავაჭრო საათების მინიჭება იზიდავს ხალხის უფრო ფართო სეგმენტს სხვადასხვა აქტივობებისთვის, რაც უფრო უსაფრთხო და დაბალანსებული ღამის ეკონომიკის შექმნის წინაპირობაა.

ფინანსური მაჩვენებლები
2017 წელს სიდნეიში ღამის ეკონომიკის მეშვეობით შეიქმნა 234,000 სამუშაო ადგილი, ღამის ეკონომიკის სავარაუდო წლიური ღირებულება კი მოსალოდნელია რომ გადააჭარბებს 27 მილიარდ აშშ დოლარს მომავალი წლებში.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

პრაქტიკული გამოცდილება 1/3
ვილნიუსის ღამის ეკონომიკა

VILNIUS

მართვა და სტრატეგია

ვილნიუსის ღამის მერი

მისი პირდაპირი მოვალეობაა ღამის ეკონომიკის მხარდაჭერა და უსაფრთხოება.

ვინაიდან ქალაქი ხდება მეცნიერების, ტექნოლოგიების, ფინანსური სერვისისა და სტარტაპების ცენტრი ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა უპირატესობას ანიჭებს ქალაქში მუშაობას და ცხოვრებას, რაც აუცილებელს ხდის მათთვის საჭირო საცხოვრებელი და სამუშაო გარემოს შექმნას და საღამოს აქტივობების დაგეგმვას.

არ არსებობს შესაბამისი სტრატეგიული დოკუმენტი, ღამის ეკონომიკის დასანერგად ჩატარდა ტექნიკური-ეკონომიკური დასაბუთება.

რეგულაცია და შეზღუდვები

რეგულაცია

ხმაურის კონტროლი - დანიშნულია ღამის ხმაურის ინდიკატორი (Lnight) რომელიც არის ლიმიტი საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე

შეზღუდვები

ალკოჰოლის ყიდვის უფლება არ აქვს 20 წლამდე პირს. ასევე ორშაბათიდან შაბათის ჩათვლით აკრძალულია ალკოჰოლის გაყიდვა დილის 10 საათიდან საღამოს 8 საათამდე, ხოლო კვირას დილის 10 საათიდან შუადღის 3-მდე.

პრაქტიკული/შეძენილი გამოცდილება

1. **ეკონომიკის ზრდა**
2. **სერვისების დივერსიფიკაცია**

- ლიტვის კულტურის საბჭო ატარებს ყოველწლიურ ერთ-ღამიან ფესტივალს, რომელიც ფინანსდება ვილნიუსის მუნიციპალიტეტის, ზოგიერთი კერძო კომპანიისა და სხვადასხვა დაწესებულებებისგან.
- ტარდება მრავალი სახეობის არტისტული პროექტები და ღონისძიებები, რომლებიც მოიცავს მუსიკას, თეატრს, სინათლის სანახაობებს, ინსტალაციებს, ნახატებს და სხვას.

ფინანსური მაჩვენებლები

არ არსებობს შესაბამისი სტატისტიკა.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

ღამის ეკონომიკის სტრატეგია სამოქმედო გეგმა

საჩვენებელი მაგალითი მელბურნის ქეისზე დაყრდნობით

სტრატეგიული მიზნები	უსაფრთხოების პროაქტიული მართვა ღამით	მრავალფეროვანი ღამის ცხოვრების განვითარება	ფუნქციური ღამის ეკონომიკა
აქტივობა 1	რეგულარული უსაფრთხოების აუდიტის ჩატარება უბნებში	საჯარო სივრცეებში და სოციალურ ადგილებში აქტივობების წახალისება	ღამის ღონისძიებებისთვის გრანტები ხმის დასახშობი მოწყობილობებისთვის
აქტივობა 2	ღამის დასუფთავების სპეც. სამუშაოები, დასუფთავების სპეციალური ჯგუფები, რუტინული შემოწმებები	ღამით არაალკოჰოლური აქტივობების ხელშეწყობა (მაგ. სპორტ დარბაზები)	მაღალი რისკის დაწესებულებებში პირადობის მოწმობის შესამოწმებელი მოწყობილობების ინსტალაცია
აქტივობა 3	საჯარო სივრცეების დიზაინი, ურბანული გეგმარება და გარემოს დიზაინი მორგებული კრიმინალის პრევენციაზე	ღამით შოპინგისთვის და კულტურულ აქტივობებში ჩართვისთვის მოტივაციის შექმნა (მაგ. სპეც.ფასები)	თემების და არაკომერც. ორგანიზაციების წახალისება ღამის ეკონომიკის აქტივობების დასაფინანსებლად
აქტივობა 4	საჯარო დღესასწაულების და აქტივობების პროაქტიულად დაგეგმვა	სივრცეების საერთო გამოყენების შესაძლებლობის აღმოჩენა (მაგ. დილას სკოლა საღამოს კულტურული ღონისძიება)	ღამით მომუშავე პერსონალისთვის სპეციალური შეღავათების ადვოკატირება

© 2019 შპს დელოიტი და ტუში

Deloitte.

deloitte.ge

დელოიტის შესახებ

დელოიტი გულისხმობს ერთ ან რამოდენიმე დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედის კომპანიას, რომელიც წარმოადგენს გარანტიით უზრუნველყოფილ ბრიტანულ კერძო კომპანიას (DTTL), მისი წევრი კომპანიების ქსელს და მასთან დაკავშირებულ ორგანიზაციებს. DTTL და მისი ყოველი წევრი წარმოადგენს იურიდიულად დამოუკიდებელ ცალკე პირს. DTTL (რომელიც ასევე მოიხსენიება როგორც გლობალური ქსელი „დელოიტი") კლიენტებს არ უზრუნველყოფს სერვისის მიწოდებით. DTTL-ისა და მისი წევრი კომპანიების დეტალური აღწერისთვის გთხოვთ იხილოთ www.deloitte.com/about.

დელოიტი ახორციელებს აუდიტორულ, საკონსულტაციო, ფინანსური რჩევების, რისკების მართვის, საგადასახადო და მასთან დაკავშირებული მომსახურებების მიწოდებას, სხვადასხვა სფეროში მოღვაწე როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო კომპანიებისთვის. დელოიტი - კომპანიების გლობალური ქსელი, ჟურნალ „Fortune"-ს მიერ გამოქვეყნებული მსოფლიოს 500 უმსხვილესი კომპანიიდან დაახლოებით 400-ს ემსახურება 150-ზე მეტ ქვეყანაში მოღვაწე წევრი კომპანიების მეშვეობით.დელოიტი კლიენტებს უზრუნველყოფს მსოფლიო მასშტაბის შესაძლებლობებითა და უმაღლესი ხარისხის მომსახურებით, ურთულესი ბიზნეს-ამოცანების გადასაჭრელად. დელოიტში დასაქმებული 264 000-ზე მეტი პროფესიონალი გამსჭვალულია მიზნის მიღწევის იდეით. მეტი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს გვერდებს სოციალურ ქსელებში Facebook, LinkedIn, Twitter.

ეს შეტყობინება მოიცავს მხოლოდ ზოგად ინფორმაციას და შესაბამისად არცერთი, დელოიტ ტუშ ტომაცუ ლიმიტედი (DTTL), მისი წევრი კომპანიები და დაკავშირებული ორგანიზაციები (ერთობლივად წოდებულნი როგორც „დელოიტის ქსელი") ამ შეტყობინების საფუძველზე არ იღებს პასუხისმგებლობას საკონსულტაციო ან პროფესიული მომსახურების მიწოდებაზე.რაიმე გადაწყვეტილების მიღებამდე ან ქმედების განხორციელებამდე, რომელიც გავლენას იქონიებს თქვენს ფინანსებსა და ბიზნესზე, უმჯობესია კონსულტაცია გაიაროთ კვალიფიციურ კონსულტანტთან."დელოიტი"-ს ქსელის არცერთი წევრი კომპანია არ არის პასუხისმგებელი ნებისმიერი პირის რაიმე სახის დანაკარგზე, რომელიც ეყრდნობა ამ შეტყობინებას.

© 2019 შპს დელოიტი და ტუში. ყველა უფლება დაცულია.